


# 1958 წლის ნიუ იორკის კონვენცია

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია უცხოური საარბიტრაჟო  
გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების შესახებ, მიღებული  
ნიუ იორკში, 1958 წლის 10 ივნისს

\*ტექსტი წარმოადგენს დოკუმენტის არაოფიციალურ თარგმანს, რომელიც განხორციელდა ბიზნეს სამართლის  
ეროვნული ცენტრის პროექტის - "საერთაშორისო კერძო სამართლის ქართულენოვანი ონლაინ ბაზის შექმნა", - ფარგლებში\*.



## მუხლი I

**1.** ეს კონვენცია გამოიყენება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულების მიმართ, რომლებიც მიღებულია სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, და არა იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც მოითხოვება ასეთ გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, და გამოტანილია ისეთ დავათა გამო, რომელთა მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. იგი გამოიყენება აგრეთვე იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებიც არ ითვლება იმ სახელმწიფოს ადგილობრივ გადაწყვეტილებებად, სადაც მოითხოვება მათი ცნობა და აღსრულება.

**2.** ტერმინი "საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები" მოიცავს არა მხოლოდ ყოველ ცალკეულ საქმესთან დაკავშირებით დანიშნული არბიტრების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებს, არამედ იმ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო ორგანოების მიერ მიღებულ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებებსაც, რომლებსაც მხარეებმა მიმართეს.

**3.** ამ კონვენციის ხელმოწერის, რატიფიცირების ან მასთან მიერთების ან ამ კონვენციის X მუხლით გათვალისწინებული შეტყობინების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია ნაცვალგების საფუძველზე განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ მეორე ხელშემკვრელი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მიღებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულების მიმართ. მას აგრეთვე შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ამ კონვენციას გამოიყენებს მხოლოდ ისეთ სახელმწიფოებთან ან სხვა სამართალურთიერთობათა საფუძველზე წარმოშობილ დავათა მიმართ, რომლებიც განმცხადებელი სახელმწიფოს ეროვნული კანონმდებლობით ითვლება სავაჭრო ურთიერთობად.

## მუხლი II

**1.** ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ცნობს წერილობით შეთანხმებას, რომლითაც მხარეები კისრულობენ ვალდებულებას, განსახილველად გადასცენ არბიტრაჟს ყველა ან ზოგიერთი დაგა, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მათ შორის ამა თუ იმ სახელშემკვრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, იმ საკითხთან დაკავშირებით, რაც შეიძლება გახდეს საარბიტრაჟო განხილვის საგანი.

**2.** ტერმინი “წერილობითი შეთანხმება” გულისხმობს საარბიტრაჟო დათქმას ხელშემკვრულებაში, ან მხარეების მიერ ხელმოწერილ ან წერილების ან ტელეგრამების ურთიერთგაცვლაში ასახულ საარბიტრაჟო შეთანხმებას.

**3.** ხელშემკვრელი სახელმწიფოს სასამართლო, როდესაც მასთან შედის სარჩელი საკითხზე, რომელზეც მხარეებმა დადეს წინამდებარე მუხლით გათვალისწინებული შეთანხმება, ვალდებულია ერთ-ერთი მხარის თხოვნით, მხარეები მიმართოს არბიტრაჟში, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღმოაჩენს, რომ აღნიშნული შეთანხმება ბათილია, ძალადაკარგულია ან მისი შესრულება შეუძლებელია.

## მუხლი III

ყოველი ხელშემკვრელი სახელმწიფო ვალდებულია ცნოს საარბიტრაჟო გადაწყვეტილებები შესასრულებლად სავალდებულო ძალის მქონედ და აღასრულოს ისინი იმ ტერიტორიის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, სადაც მოითხოვება ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობა და აღსრულება, ქვემოთ მოცემულ მუხლებში დადგენილი პირობების გათვალისწინებით. დაუშვებელია იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა ცნობისა და აღსრულებისათვის, რომელთა მიმართაც გამოიყენება ეს კონვენცია, დაწესებულ იქნას არსებითად უფრო რთული პირობები ან უფრო მაღალი გადასახადი ან სახელმწიფო ბაჟი, ვიდრე დაწესებულია ადგილობრივი საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობისა და აღსრულებისათვის.

## მუხლი IV

**1.** წინა მუხლით გათვალისწინებული ცნობისა და აღსრულების მისაღებად, მხარემ, რომელიც ითხოვს ცნობასა და აღსრულებას, აღნიშნული მოთხოვნით მიმართვისას, უნდა წარადგინოს:

(ა) სათანადო წესით დამოწმებული საარბიტრაჟო გადაწყვეტილების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი;

(ბ) მე-II მუხლით გათვალისწინებული შეთანხმების დედანი, ან მისი სათანადო წესით დამოწმებული ასლი.

**2.** თუკი აღნიშნული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ან შეთანხმება არ არის შედგენილი იმ ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, რომელშიც მოითხოვება მისი ცნობა და აღსრულება, მხარე, რომელიც ითხოვს ამ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას, წარადგენს ზემოაღნიშნული საბუთების თარგმანს ამ ენაზე. თარგმანი დამოწმებულ უნდა იქნას ოფიციალური ან ნაფიცი თარჯიმნის, ან დიპლომატიური ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის მიერ.

## მუხლი V

**1.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებას შეიძლება უარი ეთქვას იმ მხარის მოთხოვნით, რომლის წინააღმდეგადაც არის იგი მიმართული, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს მხარე უფლებამოსილ ორგანოს წარუდგენს იმის მტკიცებულებას, რომ:

(ა) მე-II მუხლში მითითებული შეთანხმების მხარეები, მათ მიმართ მოქმედი კანონის მიხედვით, ქმედუნარონი იყვნენ, ან საარბიტრაჟო შეთანხმება ბათილია იმ სამართლის მიხედვით, რომელსაც მხარეებმა ეს შეთანხმება დაუქვემდებარეს, ხოლო ასეთი მითითების არარსებობისას, იმ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, სადაც გამოტანილ იქნა საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;

(ბ) მხარე, რომლის წინააღმდეგადაც არის მიმართული საარბიტრაჟო გადაწყვეტილება, არ იყო ჯეროვნად ინფორმირებული არბიტრის დანიშვნის ან საარბიტრაჟო განხილვის შესახებ ან სხვა მიზეზების გამო ვერ მოახერხა თავისი პოზიციის წარმოდგენა; ან

(გ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება გამოტანილია იმ დავის შესახებ, რომელიც არ იყო გათვალისწინებული საარბიტრაჟო შეთანხმებით ან ეხება საკითხს, რომელიც სცილდება საარბიტრაჟო შეთანხმების ფარგლებს, იმ პირობით, რომ თუ შესაძლებელია, რომ გადაწყვეტილებები იმ საკითხებზე, რომლებიც დაექვემდებარა არბიტრაჟს შეიძლება ცალკე გამოიყოს იმ საკითხებიდან, რომლებიც არ დაექვემდებარა, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ისნაწილი, რომელიც შეიცავს დადგენილებებს საარბიტრაჟო შეთანხმებით გათვალისწინებულ საკითხებზე, შეიძლება დაექვემდებაროს ცნობასა და აღსრულებას; ან

(დ) არბიტრაჟის შემადგენლობა ან საარბიტრაჟო წარმოება არ შეესაბამებოდა მხარეთა შეთანხმებას, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობისას – იმ ქვეყნის კანონს, სადაც ჩატარდა საარბიტრაჟო განხილვა; ან

(ე) საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ჯერ არ შესულა კანონიერ ძალაში ანდა გაუქმებულ ან შეჩერებულ იქნა იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანოს მიერ, სადაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი ან რომლის სამართლის შესაბამისადაც იქნა გადაწყვეტილება გამოტანილი.

**2.** საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობასა და აღსრულებაზე მხარეს შეიძლება უარი ეთქვას აგრეთვე იმ შემთხვევაში, თუ იმ ქვეყნის უფლებამოსილი ორგანო, სადაც მოითხოვება მისი ცნობა და აღსრულება, დაადგენს, რომ:

(ა) ამ ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, დავა არ შეიძლება იყოს საარბიტრაჟო განხილვის საგანი; ან

(ბ) საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება ეწინააღმდეგება ამ ქვეყნის საჯარო წესრიგს.

## მუხლი VI

თუ V(1)(ე) მუხლში მითითებულ უფლებამოსილ ორგანოში შეტანილია შუამდგომლობა საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გაუქმების ან აღსრულების შეჩერების თაობაზე, ორგანოს, რომელსაც მიმართეს შუამდგომლობით ცნობისა და აღსრულების შესახებ, უფლება აქვს, თუკი მიიჩნევს მიზანშეწონილად, გადადოს გადაწყვეტილების გამოტანა და აგრეთვე, იმ მხარის მოთხოვნით, რომელიც ითხოვს ცნობას ან აღსრულებას, დაავალოს მეორე მხარეს, წარმოადგინოს შესაბამისი უზრუნველყოფა.

## მუხლი VII

**1.** წინამდებარე კონვენციის დებულებები არ ახდენს გავლენას იმ მრავალმხრივი თუ ორმხრივი შეთანხმებების ნამდვილობაზე, რომლებიც შეეხება ამ კონვენციის ხელშემკვრელი ქვეყნების მიერ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების ცნობასა და აღსრულებას, და არ ართმევს არც ერთ დაინტერესებულ მხარეს უფლებას, გამოიყენოს ნებისმიერი საარბიტრაჟო გადაწყვეტილება იმ წესითა და იმ ფარგლებში, რაც დაშვებულია იმ ქვეყნის კანონმდებლობით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით, სადაც მოითხოვება ასეთი საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ცნობა და აღსრულება.

**2.** საარბიტრაჟო დათქმების შესახებ ჟენევის 1923 წლის ოქმი და უცხოური საარბიტრაჟო გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ ჟენევის 1927 წლის კონვენცია ძალადაკარგულად ითვლება ხელშემკვრელ სახელმწიფოებს შორის მას შემდეგ, რაც მათთვის სავალდებულო გახდება ეს კონვენცია.

## მუხლი VIII

**1.** ეს კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად 1958 წლის 31 დეკემბრამდე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნებისმიერი წევრისათვის, აგრეთვე ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც არის ან მომავალში გახდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის რომელიმე სპეციალიზებული დანქსებულების, ან რომელიც არის ან მომავალში გახდება მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს სტატუტის მონაწილე, ან ნებისმიერი სხვა სახელმწიფოსათვის, რომელსაც მიიწვევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეა.

**2.** ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას და სარატიფიკაციო სიგელები დეპონირდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან.

## მუხლი IX

**1.** VIII მუხლში ჩამოთვლილი ნებისმიერი სახელმწიფო უფლებამოსილია მიუერთდეს ამ კონვენციას.

**2.** მიერთება ხდება მიერთების შესახებ სიგელის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანთან დეპონირების გზით.

## მუხლი X

**1.** ამ კონვენციის ხელმოწერის ან მისი რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს, ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია განაცხადოს, რომ ეს კონვენცია ვრცელდება იმ ტერიტორიაზე, ან მის ნაწილზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც მას ეკისრება პასუხისმგებლობა. ამგვარი განცხადება ძალაში შედის აღნიშნული სახელმწიფოს მიმართ წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლისთანავე.

**2.** გემოაღნიშნულის შემდგომ, ნებისმიერ დროს, კონვენციის მოქმედების ამგვარი გაფართოება შეიძლება მოხდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინების მეშვეობით და ძალაში შევა მის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდამეათე დღეს, ან შესაბამისი სახელმწიფოს მიმართ ამ კონვენციის ძალაში შესვლის დღეს, იმის მიხედვით, თუ რომელი ვადა გადის უფრო გვიან.

**3.** რაც შეეხება იმ ტერიტორიებს, რომლებზედაც არ ვრცელდება კონვენციის მოქმედება მისი ხელმოწერის, ან რატიფიკაციის ან მასთან მიერთების დროს, თითოეულმა დაინტერესებულმა სახელმწიფომ უნდა განიხილოს იმგვარ ღონისძიებათა განხორციელების შესაძლებლობის საკითხი, რომლებიც საჭიროა აღნიშნული ტერიტორიების მიმართ ამ კონვენციის მოქმედების გავრცელებისათვის იმ პირობით, თუ ამაზე თანხმობას განაცხადებენ აღნიშნული ტერიტორიების მთავრობები, თუკი ამგვარი თანხმობა აუცილებელია კონსტიტუციურ საფუძვლებზე.

## მუხლი XI

ფედერაციული და არაუნიტარული (დეცენტრალიზებული) სახელმწიფოების მიმართ გამოიყენება ქვემოთ ჩამოთვლილი დებულებები:

(ა) ამ კონვენციის ის მუხლები, რომლებიც განეკუთვნება ფედერალური ხელისუფლების საკანონმდებლო იურისდიქციას, ფედერალურ ხელისუფლებას იმ ფარგლებში აკისრებს

ვალდებულებებს, რა ფარგლებშიც ამ კონვენციის ხელშემკვრელ სახელმწიფოებს, რომლებიც არ არიან ფედერაციული სახელმწიფოები;

(ბ) კონვენციის იმ მუხლებზე, რომლებიც განეკუთვნება იმ ფედერაციული ერთეულების ან პროვინციების საკანონმდებლო იურისდიქციას, რომელთაც ფედერაციის კონსტიტუციური მოწყობა არ ავალდებულებს განახორციელონ საკანონმდებლო ღონისძიებანი, ფედერალურმა ხელისუფლებამ დადებითი რეკომენდაციით უნდა აცნობოს ფედერაციული ერთეულების ან პროვინციების ხელისუფალთ რაც შეიძლება მოკლე დროში;

(გ) ამ კონვენციის მონაწილე ფედერაციული სახელმწიფო ვალდებულია, ნებისმიერი სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოს მოთხოვნით, რომელიც გადაეცემა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით, წარადგინოს ცნობა ფედერაციისა და მისი შემადგენელი ერთეულების იმ კანონებისა და პრაქტიკის თაობაზე, რომლებიც ეხება ამ კონვენციის ნებისმიერ კონკრეტულ დებულებას, და ასახავს თუ რა მოცულობით ხდება, საკანონმდებლო ან სხვა ღონისძიებების გზით, ამ დებულების გამოყენება.

## მუხლი XII

**1.** ეს კონვენცია ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების შესახებ სიგელის დეპონირების დღიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

**2.** ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელმაც მოახდინა ამ კონვენციის რატიფიკაცია ან მიერთდა მას მესამე სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების თაობაზე სიგელის დეპონირების შემდეგ, ეს კონვენცია ძალაში შედის ამ სახელმწიფოს მიერ თავისი სარატიფიკაციო სიგელის ან მიერთების თაობაზე სიგელის დეპონირებიდან ოთხმოცდამეათე დღეს.

## მუხლი XIII

**1.** თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს შეუძლია მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე წერილობითი შეტყობინების გზით. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

**2.** თითოეულ ხელშემკვრელ სახელმწიფოს, რომელმაც გააკეთა განცხადება ან გააგზავნა შეტყობინება X მუხლის საფუძველზე, შემდგომ ნებისმიერ დროს შეუძლია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის სახელზე შეტყობინებაში განაცხადოს, რომ ამ კონვენციის მოქმედება შესაბამისი ტერიტორიის მიმართ შეწყდება გენერალური მდივნის მიერ ასეთი შეტყობინების მიღების დღიდან ერთი წლის შემდეგ.

**3.** ამ კონვენციის მოქმედება გრძელდება იმ საარბიტრაჟო გადაწყვეტილებათა მიმართ, რომელთა ცნობისა და აღსრულების თაობაზე საქმისწარმოება დაიწყო დენონსაციის ძალაში შესვლამდე.



## მუხლი XIV

არც ერთ ხელშემკვრელ სახელმწიფოს არა აქვს უფლება გამოიყენოს ეს კონვენცია სხვა ხელშემკვრელი სახელმწიფოების წინააღმდეგ, გარდა იმ ფარგლებსა, რომლებშიც იგი თავისთავად ვალდებულია გამოიყენოს ეს კონვენცია.

## მუხლი XV

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი VIII მუხლში აღნიშნულ სახელმწიფოებს შეატყობინებს:

(ა) VIII მუხლის თანახმად ხელმონერებისა და რატიფიკაციების შესახებ;

(ბ) IX მუხლის თანახმად მიერთებების შესახებ;

(გ) განცხადებებისა და შეტყობინებების შესახებ, რომლებიც გამომდინარეობენ I, X და XI მუხლებიდან;

(დ) XII მუხლის თანახმად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

(ე) XIII მუხლის თანახმად დენონსაციებისა და შეტყობინებების შესახებ.

## მუხლი XVI

**1.** წინამდებარე კონვენცია, რომლის ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურენოვან ტექსტებს გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა, ინახება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის არქივში.

**2.** გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი XIII მუხლში აღნიშნულ სახელმწიფოებს უგზავნის ამ კონვენციის დამოწმებულ ასლს.

*ხელშემკვრელი სახელმწიფოების განახლებული სიის სანახავად, გთხოვთ იხილოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის “საერთაშორისო ხელშეკრულებების კოლექციის” ვებ-გვერდი შემდეგ მისამართზე: <<http://treaties.un.org>>*

<b>Arbitration clause</b>	საარბიტრაჟო დებულება;
<b>Award</b>	საარბიტრაჟო გადაწყვეტილება;
<b>Circumstance</b>	1. მდგომარეობა, ვითარება, შემთხვევა. 2. წვრილმანი, დეტალი;
<b>Constituent states</b>	ფედერაციული/არაუნიტარული სახელმწიფოს შემადგენელი ნაწილი, რეგიონი, მხარე; აქვს ადმინისტრაციული იურისდიქცია განსაზღვრულ ტერიტორიაზე და წარმოადგენს რეგიონული ხელისუფლების ერთ-ერთ ფორმას.
<b>Deprive of (any) right</b>	უფლების წართმევა, ჩამორთმევა;
<b>Enforcement</b>	აღსრულება;
<b>Exhaustive</b>	ამომწურავი
<b>Extension</b>	გაგრძელება, გახანგრძლივება; ვადის გაგრძელება, გადავადება.
<b>Favorable recommendation-expressing approval</b>	შესაბამისი, შესაფერისი, კეთილგანწყობილი, სასურველი რეკომენდაცია;
<b>Legislative action</b>	საკანონმდებლო ქმედება/ღონისძიება;
<b>Model law</b>	მოდელური კანონი;
<b>Permanent arbitral bodies</b>	მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დანესებულებები.
<b>Recall</b>	გახმობა, გამოხმობა განვევა; უკან განვევა; მოგონება, გახსენება, შეხსენება; მესხიერებაში აღდგენა; უკან წაღება; გაუქმება, გაბათილება (ბრძანებისა, შეკვეთისა, დაკვეთისა);



<b>Recognition</b>	ცნობა;
<b>Rely upon</b>	დაყრდნობა, მინდობა;
<b>Revised</b>	შესწორებული; გადამონმეხული, გასწორებული;
<b>Statement of the law—a formal spoken or written account that gives information</b>	( <a href="http://www.translegal.com/?s=statement+">http://www.translegal.com/?s=statement+</a> ) ფორმალური ზეპირი ან წერილობითი ანგარიში რომელიც შეიცავს ინფორმაციას კანონის შესახებ.
<b>Subsequently revised</b>	შემდგომში გადამუშავებული/შესწორებული;
<b>Taking into account</b>	მხედველობაში მიღება; ანგარიშის განვება; გათვალისწინება;
<b>To avail (oneself) of</b>	გამოყენება (გამოიყენებს), სარგებლობა (ისარგებლებს).
<b>To be subject to the consent of the government</b>	ექვემდებარება ხელისუფლების თანხმობას.
<b>To bring something to somebody’s notice</b>	ყურადღების მიპყრობა, ყურადღება მიაქცევილო ვინმეს, ყურადღება გაამახვილებინო რაიმე საკითხზე;
<b>To deposit</b>	შეტანა, განთავსება, დეპონირება;
<b>Uniform</b>	ერთგვაროვანი, ერთსახოვანი;
<b>Validity of an agreement</b>	შეთანხმების ნამდვილობა;